


# ლიტერატურული გაზეთი




1934 დეკემბრის 18

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექსკლუზიური ორგანო

ფასი 50 კაპ.

№ 30

## „პური და სანახარობა!“



„ჩაპაევის“ თემაზე

ნახ. ს. კეცხოველისა

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სულ უფრო და უფრო ფართო მასები შეძლებულ ცხოვრებას იწყებენ. შეძლებულება კაპიტალისტურ პირობებში გამონაკლისი იყო, ახლა ის საერთო მოვლენად იქცევა. შეძლებას იძენდნენ სხვის ხარჯზე, ახლა იგი თავისივე შრომით მოიპოვებ. ხოვლად ეს შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკური კომუნურნიზაციის გზით. კომუნურნიზაცია ბოლშევიკურად წარმართვაში კი გადაწყვეტილი, ისტორიული როლი ითამაშებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში. და თუ დღეს საბჭოთა კავშირის მთელ თავალუწვიდენელ მანძილზე პურის უზრუნველყოფა იწყება, აქ ხომ აშკარად ჩანს პარტიის საუკეთესო შეილათა, პოლიტიკურ-ეკონომიკური ნებისყოფა! მაგრამ გამარჯვებით განებობება ბოლშევიკური თვისება არაა. ჩვენ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. შემდგომი წინსვლა, კოლექტივიზაციის სფეროშიაც ისევე ამოცანად გვიდგას, მაგრამ ნიადაგი იმდენად მტკიცეა, რომ ამისთვის აღარ არის საჭირო ის განსაკუთრებული ზონები, რომელთაც ატარებდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ახლა ამ საქმეს „ჩვეულებრივი ტიპის“ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უნელ-მუნელად უნდა შეიქმნა. პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში პოლიტიკურ-ეკონომიკური ახლა ამ საქმეს „ჩვეულებრივი ტიპის“ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უნელ-მუნელად უნდა შეიქმნა. პოლიტიკურ-ეკონომიკური სფეროში პოლიტიკურ-ეკონომიკური ახლა ამ საქმეს „ჩვეულებრივი ტიპის“ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უნელ-მუნელად უნდა შეიქმნა.

მასზე ბარათების გაუქმებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სფეროში განხორციელებული დადგენილებანი ზოგიერთისათვის შეიძლება მოულოდნელი სიურპრიზი იყო.

ჩვენმა მწერლობამ ჯერ ვერ მოგვცა დიდი ხურათი იმ პროცესებისა, რომელთაც მივყავართ შეძლებულ ცხოვრებას. ჩვენ გვაქვს საკომუნურნიზაციის რამდენიმე პატარა ნაწარმოები, მაგრამ ყველა მათგანის მთავარი ნაკლი ილუზორულია. ისინი ვერ იძლევიან დიდი პარტიის ცოცხალ განვითარებას და ამ განვითარების ტენდენციის განვითარებას. უმრავლესობა მათგანისა უკვე საბოლოოდ ცნობილი საზოგადოებრივი ფაქტის აღსუსხვით (კონსტრუქციით) კმაყოფილებიან. მათში არ ჩანს მოაზროვნე-მხატვარი, რომელიც არა მარტო მხატვრულად ასახავს იმას, რასაც უკვე ყველა ხედავს, თუმცა ესეც თავისთავად კარგი და საჭირო საქმეა, არამედ ამ ფაქტების ღრმა მხატვრულ-იდეური ანალიზის საშუალებით იძლევა მოვლენათა განვითარების დედამიწას და ტენდენციას.

პურზე ბარათების მოსპობა კი არ არის მხოლოდ ცალკეული ფაქტი, რომლის შემოწმება დიდი, ვიწრო (ემპირიული) ასახვისკენ ჩვენ მოვუწოდებდეთ. ზერეულად აღებული პურის ბარათების მოსპობა რამდენიმე თვის საქმეა. მოსპობა და გათავდა-იტყვის ზერეულად აღმანი და მწერალი. მაგრამ ნამდვილი მოწინავე მწერლის ვალია დაინახოს, რომ ეს ფაქტი დიდი ისტორიული ფაქტის რგალია. პურზე ბარათების მოსპობა მოახდენს ღრმა გავლენას ცხოვრების ყველა სფეროზე: გაიფანტება სხვა პროდუქტები, განვითარდება ფართო, დიდი, მოქნილი, ინდივიდუალური მკვიდრული მოთხოვნებისადმი შეგუებული საბჭოთა ვაჭრობა, მოსპობა ის ბიუროკრატიაში, რომელიც პურის წიგნაკების განაწილებას თან ხდევდა, დიდ ნაბიჯს გადადგამთ შეძლებული ცხოვრებისაკენ და დასასრულს-ქვეყანა უფრო მეტად დაინტერესდება კულტურული ცხოვრებით და კერძოდ იმ სფეროთი, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენ ვართ.

მოგვეცით პური და სანახარობანი! — მოთხოვნა ხოლმე ანტიურ ქვეყნების დემოსი. ჯერ კიდევ უძველესმა ხალხმა იცოდა, რომ პურის გარდა საჭიროა სანახარობანი. ჩვენი ეპოქის „სანახარობანი“ (ხელოვნება) მრავალნაირია: მათში შედის მხატვრული სიტყვა, მხატვრული სიტყვის ოსტატებმა არა მარტო თეორიულად უნდა იცოდნენ, თუ რა კავშირია ამ ორ მოვლენას შორის, არამედ საკუთარი გამოცდილებით, საკუთარი ცოდნით, ღრმა ანალიზით უნდა შეისწავლონ და ოსტატურად უპასუხონ იმ მოთხოვნებს, რომელთაც აქენებს რევოლუციების ქარცეცხლში საკუთარი სიხსნითა და ჩვენი მშენებლობის პროცესში საკუთარი ოფლით ახალი ქვეყნის სოციალისტური დოვლათის შემოქმედი მშრომელი ხალხი.

## ხალხური შემოქმედების კრიტიკული დაუფლებისთვის

ყოველ ერს აქვს ორი კულტურა: გაბატონებული, ექსპლოატატორ კლასებისა და მშრომელი ხალხის, დემოკრატიული-სოციალისტური — ამბობდა ლენინი. ამ მეორე კულტურის უდიდესი დარგია ხალხური მხატვრული შემოქმედება. ეს განძი დღემდე ძირითადად შეუგროვებელი და შეუსწავლელია. ამ ბოლო ხანებში დაიწყო შეგროვება და შესწავლა ამ მასალებისა და იაიცი ცალკე ორგანიზაციებისა და პირების კერძო ინიციატივით.

სამწუხაროდ, ამ მეტად სასარგებლო საქმეში არ არის ერთგვარი გეგმიანობა და მეთოდი. ადგილი აქვს თავისებურ „ხალხსობას“. ყოველი „ხალხური“ ნაწარმოები ყოველთვის არსებითად ხალხურ-დემოკრატიული არ არის. — „ხალხის“ განსაზღვრული ფენები განიცდიდენ ფეოდალური ან ბურჟუაზიული იდეების გავლენას: ასეთი ხალხური შემოქმედება ხშირად არსებითად ფეოდალური კულტურის გამოძახილს წარმოადგენს ხალხური შემოქმედების ფორმებში. ნამდვილ ხალხურ შემოქმედებას აქვს თავისი საკუთარი კლასობრივი (გლეხური, ამქრული, ქალაქის დაბალი ფენების) ბაზა. არ შეიძლება ყველაფრის ერთნაირად ხალხურ შემოქმედებათ გამოცხადება.


დიდი გემოვნება საჭირო მხატვრული და არამხატვრული ღირებულების მქონე ხალხური ნიმუშების გადარჩევისათვის. ყველაფერი, რაც „ეჭვოტყუარია“ და „იშვიათი“, ხალხურს არ მოასწავებს.

ხალხს აქვს თავისი კულტურა და ყოველგვარი ველურობისა და ჩამორჩენილობის იდეალიზაცია არაფერს შესძენს ჩვენ ახალ კულტურას.

კვლევა-ძიების მარქსისტული მეთოდი ჯერ არაა მომარჯვებული ხალხური შემოქმედების შესწავლის სფეროში. ამ ფრონტს რატომღაც ახალგაზრდა მარქსისტი მკვლევარები ყურადღებას არ აქცევენ. ხალხური შემოქმედება დღემდე ხშირად იდეალისტთა ხელშია. რა რიგ სასარგებლო არ უნდა იყოს ზოგიერთ შემკრების მუშაობა — მათი შრომა მინც საბოლოო ანგარიშში უსარგებლო და მავნეც კი იქნება, თუ თვით შემკრები მუშაობის პროცესში და მით უმეტეს შესწავლისას მარქსისტული მეთოდით არ იხელმძღვანელებს.

და მართლაც: დღემდე ფოლკლორი ესმით, როგორც მხოლოდ ძველი ხალხური შემოქმედება. არ ჰკრეფენ და არ იცნობენ საბჭოთა ფოლკლორს. ორში ერთი: ან რევოლუციის შემდეგ არ შექმნილა საბჭოთა ფოლკლორი, რაიც ფართო ფენების ყოფაცხოვრების განხორციელებული ჩამორჩენილობის ნიშანი იქნებოდა და ეს კი არა სწორი დასკვნაა, ან კიდევ შემკრები და ლიტერატურული კრიტიკა არ არიან დიდიტრეხებული ამ საბჭოთა ფოლკლორით; ეს კი ამ შემკრებთა რეტროგრადული ბაზე ლაპარაკობს.

ასეა თუ ისე, ფოლკლორის შეგროვების საქმესთან ერთად საჭიროა ხალხური შემოქმედების შესწავლის სწორი მეცნიერული მეთოდის გამოძიება.



## „ჩაპაევი“ ქართულად

კინო სურათი „ჩაპაევის“ ხეცნარი გაცემულია ფურმანოვის ასეთივე სათაურის მქონე მხატვრულ ნაწარმოებიდან. ფურმანოვის „ჩაპაევი“ ერთერთი თვალახარის მხატვრული ეპოპეათაგანა ხამოქალაქი ომების ცხოვრებიდან.

გამომცემლობა: „ფედერაცია“ განიზარაბა ქართველ მკითხველებს გააცნოს ეს ხანტერენო მხატვრული ნაწარმოები.

წიგნს თარგმნის შადვა აფხაძე. საჭიროა გამოცემის დაჩარება.

ჩაპაევის დივიზიის პოლიტიკური კომისარი  
დირიბრი ფურმანოვი  
ავტორი ნაწარმოებისა „ჩაპაევი“

## მეზადებიან კლენუმისათვის

ლიტერატურული კრიტიკის საკითხები მხატვრული მწერლობის დღის წესრიგში მწვავედ დისკვა. მწერალთა კავშირის საკავშირო გამგეობის სპეციალური პლენუმიც კი მოწვეულია კრიტიკის საკითხების გასარკვევად. საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ აღნიშნულ პლენუმთან დაკავშირებით უკვე დაიწყო წინასწარი სამზადისი. ჩამოყალიბებული იქნა კრიტიკოსთა სექცია, რომლის ინიციატივით იანვრის თვის პირველ დეკადაში სოწვეულ იქნება რესპუბლიკური თათბირი; თათბირი დაამუშავებს ლიტერატურული კრიტიკის პრინციპულ საკითხებს და ქართულ კრიტიკის მდგომარეობას.

მწერალთა სასახლეში კრიტიკის საკითხებზე ჩატარდება სამი მოხსენება. ტფილისის ერთერთ მუშათა კლუბში მოწვეულ იქნება მკითხველთა კონფერენცია ლიტერტიკის საკითხებზე. აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთისა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციებს დაევალით გაშალონ დისკუსია აღნიშნულ საკითხებზე. მწერალთა კავშირის სამდივნომ აგრეთვე დაამუშავა ღონისძიებანი სამოქალაქო ომისა და ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შედგენაში მწერლების მუქსიმალურად ჩასაბმელად.



გაგონილი და ჩაწერილი სოფ. საქარაში (ხესტაფონის რაიონი) დ. გეჭაძის მიერ

აფრასიონ მერკვილაძეს, თავი უკვდავი ეგონა... „სტრატეგია“ შემოერთებენ, კოლოზულები ეგონა, რაზემელების შეძახება, ტკბილი სიმღერა ეგონა, მკერდს სისხლი გადმოიმდინარე, წითელი ვარდი ეგონა. გულ განგმირული მოძმენი, დაძინებული ეგონა. ვეფხვივით დანავარდობდა, მტრები ჩიტები ეგონა, ნათელი, რომ დაუბნელდა, მას დაღამება ეგონა, ხევიში უსულოდ მწოლარეს, თავი მინდორში ეგონა, საფლავში რომ ჩაასვენეს, თავი საფარში ეგონა, დულარე ცრემლებს ვაფრქვევდით, უფუნა წვიმა ეგონა.

შემოქმედებითი დისკუსიები

მწერალთა კავშირის სამდივნო თავისი გეგმის მიხედვით შეუდგა ფართო დისკუსიების გაშლას. დეკემბრის თვის განმავლობაში განზრახულია ჩატარდეს შემდეგი დისკუსიები: 16 დეკემბერს — ახალი კადრების შემოქმედების საღამო — მომხსენებლები ლეო ქიჩელი და გ. ნადირაძე. 20 დეკემბერს — ლიტერატურული კრიტიკის თანხები — მომხსენებელი კლავდი კიკელიძე. 22 დეკემბერს — სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო, — მომხსენებელი ვალერიან გაფრინდაშვილი. 27 დეკემბერს — საბჭოთა მწერლობის მეთოდი და სტილი, — მომხსენ. ბესარიონ უღვინტი.

კინემატოგრაფიამ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდ გამარჯვებებს მიაღწია, მაგრამ ვერც ერთი სურათი, დადგმული ამ ხნის განმავლობაში, ვერ შეედრება „ჩაპაევს“. საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში არსებობს შესანიშნავი ეტაპები, რომლის შემდეგ ჩვენი კინოთუმიც ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიიწვიდა. ასეთი იყო ს. ეიზენშტეინის დაუვიწყარი „პოტიომკინი“, ასეთია დღეს „ჩაპაევი“. მეტად საგულგნელია, რომ „ჩაპაევი“ შემქმნელმა ძმებმა სერგეი და გიორგი ვასილიევიები ეიზენშტეინის სკოლიდან არიან გამოსული.

მრავალი კინო-სურათი დაიდგა სამოქალაქო ომიდან, ზოგი ცული იყო, ზოგი შედარებით უფრო მისაღები, მაგრამ არც ერთი მათგანი ისეთი კინემატოგრაფიული ოსტატობით არ არის გაკეთებული, როგორც „ჩაპაევი“. ჩვენ ვიცით, რომ ძმ. ვასილიევიებმა ყოფ. „სოფ-კინოს“ სამონტაჟო მაგიდაზე შეითვისეს კინო-ტექნიკა. ამიტომ არ გვიკვირს სურათის კინემატოგრაფიული ოსტატობა. სამოქალაქო ომის თემატიკა ბევრმა დაამახინჯა, ბევრმა მოსინჯა, მაგრამ იგი ჯერ მაინც არ არის ამოწურული. ამის მაჩვენებელია „ჩაპაევი“.

დამაინტერესებელ სიუჟეტის დაუფლების დოკუმენტატიკა ბევრი კინო-რეჟისორი და სცენარისტი ჩააფიქრა, არ იცოდნენ, როგორ აეგოთ სიუჟეტი, წასულიყვნენ უკან მელოდრამისკენ და ბურჟუაზიულ ხელოვნების დაბერებულ ფორმებისკენ, თუ წინ ახალი სიუჟეტისაკენ, როგორც ამას ს. ეიზენშტეინი ქადაგებდა. „ჩაპაევი“ უთუოდ გამოიწვევს და გადასამუშავებლად დასვამს მთელ რიგ პრობლემებს. „ჩაპაევი“ უთუოდ ამტკიცებს, რომ დოკუმენტი „წინ ახალი სიუჟეტისაკენ“ მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის გზით მოიპოვებს თავის გამოხატულებას. „ჩაპაევი“ უკვე ზოგიერთ პრობლემას გადაწყვიტა: მაგ., დადებითი ტიპის პრობლემა საბჭოთა ხელოვნებაში. უყურებთ ჩაპაევს და დარწმუნდებით, რომ იგი არ არის ტრაფარეტული გმირი, რომელმაც ასე მოგაბეჭრა თავი კინოში, იგი არც „ანგლოფილსებური“ უსისხლო გმირი, რომელიც „გმირია“. პირიქით, მსახიობ ბაბოჩკინმა შექმნა დაუვიწყარი სახე სამოქალაქო ომის „საგმირო ეპოსიდან“. წითელი არმიის მოქმედება სამოქალაქო ომში უკვე ლეგენდარული სიმღერებისა და მხატვრული სურათების საგანი გახდა. კინომ („ჩაპაევის“ სახით) ხელოვნების ყველა სხვა დარგს გადა-

აჭარბა. ჩაპაევი უკვე გახდა მრავალმილიონიან მასების საყვარელი გმირი. მაგრამ ვინაა მართლ ჩაპაევი იპურობს ურად-ღებას? აიღეთ მსახიობი კმითის პეტეკა, ან მსახიობი შკურატი „დენშიკის“ როლში. ვინაა ამათ დივიწყებს მაყურებელი? განსვენებულ მასს. პეტეკოვის მიერ განსახიერებული თეორეტიკული პოლოცენიკი ბოროტდანი ვანა სრულიად ახალი და ორგინალური ტიპი არ არის ეკრანზე გამოყვანილ თეორეტიკული გაღვივების? თითოეულ პიროვნებას სურათში თავისი საკუთარი ბიოგრაფია აქვს, არც ერთი პარტიზანი ჩაპაევის დივიზიონიდან არ ითქვიფება საერთო მასაში, ყველას აქვს თავისი ინდივიდუალური სახე.

გარდა ამისა, სურათის იდეოლოგია ისეთი ოსტატობით არის დაყვანილი მაყურებელამდე, რომ არავითარი მხატვრულობის დარღვევას არა გრძნობთ. წითელი არმია იბრძვის და ამ ბრძოლაში იბრძება იგი და მისი ადამიანები ბოლშევიკების ხელმძღვანელობის ქვეშაი, მთავარი იდეა ამ სურათისა. ეს დიდი იდეა დღემდე ხშირად ან მექანიკურად კეთდებოდა, ან გაუბრალოების გზით. „ჩაპაევის“, გადაკეთება ფურმანოვის შეგავლენით არ ხდება ისე უცრად, როგორც აქამდე ჩვეული იყო ჩვენი კინემატოგრაფია: პირიქით ფურმანოვი და ჩაპაევი პირველი შეხედვით თითქოს ანტიპოდები, ფსიქოლოგიურად და იდეურად ერთმანეთს ავსებენ, და ამ „შეჯიბრში“ ფურმანოვი მაინც წამყვანი სურათი გმირებისადმი დიდ სიყვარულს იწვევს მაყურებელში. და ასეთივე ძლიერ სიძულვალს ბადებს ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.

„ჩაპაევი“ გვაწავლის ისეთივე სიმძაფრით ვიბრძოლოთ ჩვენი დიდი რევოლუციური სამშობლოსთვის, როგორც ამას ჩადიოდა თავის დროს ჩაპაევი თავისი გმირული დივიზიონით. „ჩაპაევი“ ახალგაზრდობა აღიზრდება საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლებად. „ჩაპაევი“ ასწავლის ყველა შემოქმედებით მუშაებს, თუ რა არის საქმე, რომ ჩვენი დიდი ეპოქის სიმალღვევი ვიდგეთ და მის გრანდიოზულ წინსვლას არ ჩამოვრჩეთ.

ცენტრალურ სამხედრო არქივის ფოტო-ფილმ-კინო დოკუმენტალურ განყოფილების მუშაკებმა მოხებნეს კინო სტრატონის ერთი ნაწილი, რომლის რამდენიმე ეპიზოდში ნამდვილი ჩაპაევი და მისი, ბრძოლის მებრძოლებია გადაღებული. ფილმი გადაღებულია უცნობ ოპერატორის მიერ ვოლგაზე სამოქალაქო ომების პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ძმებს ვასილიევიებს, მუშაობდნენ რა ისინი სურათ „ჩაპაევი“, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არსებობდნენ თუ არა ასეთი იშვიათი დოკუმენტალური მასალები.

„ჩაპაევი“ ნახულობენ მილიონები

არც ერთ კინო-სურათს არ ღირსება ასეთი ურიცხვი მაყურებელი. მილიონები ნახულობენ, მილიონები გაუცაცობენ ელიან სურათის ეკრანზე გამოჩენას. მოსკოვის ურნალ-გაზეთების ცნობით, მოსკოვსა და ლენინგრადში პირველი ათი დღის განმავლობაში „ჩაპაევი“ უნახავს 1.500.000 მაყურებელს. ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში არც ერთი კინო-სურათი არ უნახავს ამდენ მაყურებელს. ცენტრალური და საქარსნო-საფარბიკო პრესა სავსეა მუშა-მაყურებლის აღფრთოვანებული წერილებით.

„ჩაპაევი“ უნდა ვახდეს იმის ნიშნად, თუ როგორ უნდა მუშაობდნენ და როგორი უნდა იყოს საბჭოთა კინემატოგრაფია — ამბობენ ლენინგრადელები.

„ჩაპაევი“ მილიონების სურათია. მთელმა საქართველომ უნდა ნახოს იგი. სახკინმრეწვის მუშაკებისათვის კი ლაბორატორიულ მუშაობისა და ღრმა დივიზიონების საგანი უნდა გახდეს „ჩაპაევი“



მონუმენტი გლოკნოტიდან

„ჩაპაევი“ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები

შალვა შავგულიძე

თემები გვანან მთვლელოვს ეძღვნა, რომელთაც ხანსი არ ეკიდებოდათ. ამ ქვეყნის განუწყვეტლივ ღვივის შინაგანი ცეცხლი, ე. ი. ის, რასაც ოფიციალურ ფაზაზე, გამოქვეყნების შემდეგ მხატვრულ ნაწარმოებს ეძახიან. მაგრამ საკმაოა ბოლშევიკი ხელოვანის გრძნული ჯიხის შეხება მის მთავარ ძარღვებზე, რომ ნაპერწკლები გაჩნდეს და ცეცხლმა ფრთხილად ამოისროლოს თავი. ასეთ გულკანური წარმომავლის ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის დიმიტრი ფურმანოვის „ჩაპაევი“. უწყებები, სამხედრო ინფორმაციები, სასურსათო გადასახადის ფურცლები, ბრძანებები, საჯინიბოები, დღიურები — ეს „პროზაული“ საშუარო ფრთხილად ისხამს და იწვის ფურმანოვის ეპოპეიკაში. გაზეთის რეპორტაჟის მასალა, „კალენდრის თემატიკა“ და უცრად — როგორი ეფექტია შექმნილი! საიდან აქვს ეს ძალა მას? თვითონ ნაწარმოები იძლევა ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს. გრძელ მოგზაურობაში, უდაბნოს ველებზე ლაშქრობის დროს, ურალის ველურ სტეპებზე, სანგრებში, მიტინგებზე, ყველგან, ყოველ წუთს იგებოდა ფედორ კლიჩკოვის (იგივე ფურმანოვის) უბის წიგნაკი საინტერესო მომენტებით, ცნობებით, ფაქტებით, დოკუმენტებით, ოქმიდან ამოწერილი ასლებით და მნიშვნელოვანი ამბებით. ამ ომის ბიულეტენებიდან დაიბადა რევოლუციური სიუჟეტის ეპოპეია „ჩა-

პაევი“. მაინც რა არის ეს ნაწარმოები? ნარკვევი? მოთხრობა? მემუარი? თვითონ ავტორი „ჩაპაევს“ ახასიათებდა, როგორც „ნარკვევს“, მაგრამ ეს უფრო მოკრძალებული ტონის ნიშანია, ვიდრე საკითხის ობიექტური განსჯა. ერთი მაინც უნდათ: „ჩაპაევი“ ყოველგვარი „ბელეტრისტული ტყუილების“ და ფორმალური ტრადიციების უარყოფაა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ხაზი გავსვას იმ გარემოებას, რომ ფორმალური სიახლე არ შეუქნია ფურმანოვს შიგა ლიტერატურული მოსაზრებებით, ან მიუ უფრო, რომელიმე „შკოლის“ ინტერესებით. პირიქით: პოლიტიკური მოთხრობის თავისებურება, ეპოპეის სპეციფიკური ნიშნები ჩამოყალიბდა ნაწარმოების ძირითადი იდეის და მასალის კარნახის ქვეშ, მისი უშუალო მოთხოვნით. ამაშია „ჩაპაევის“ ერთი დამახასიათებელი მხარე.

„ჩაპაევი“ დღეს ხელდან ხელში გადადის, მას იტაცებენ, მოითხოვენ ხელახალ გამოცემას, უყურებენ ეკრანზე, მილიონები მღერავენ აქედან ამოღებულ ტაუტებს, სიყვარულით იგონებენ გმირებს, პერსონაჟები ცოცხლდებიან და სემირამის მღერავენ სტეპებზე დაღუპული პოეტები თითქოს მონაწილეობენ სოციალისტური საზოგადოების აგებაში. რით აიხსნება ეს უჩვეულო გამარჯვება? ბავშური გულბრწყინობა იქნებოდა აგვეხსნა, ეს მხოლოდ „მასალის ეფექტურობით“. საკმაოა, გაიხსენოთ მთელი დისტა-

რომანებისა ამ თემაზე, რომლებიც გაუჭრელი აწყვია ჩვენი ბიბლიოთეკების მტკვრიან თაროებზე, რომ დარწმუნდეთ ასეთი შეხედულების უსაფუძვლობაში. ფედორ კლიჩკოვი არ იყო პასიური მკვრეტელი: ის მხოლოდ შტაბში არ გებულობდა ბრძოლების შესახებ, არამედ ითვისებდა მას ქვემეხების შეუწყვეტელი კანონადის ქვეშ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, ეს ფაქტი მხოლოდ წინასწარი პირობაა გამარჯვების. მთავარი მიხეხები კი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

კლასიკოსები იმიტომ არიან ძლიერები და იმიტომ ინარჩუნებენ „მიუწვდომლობის იერს“ (მარქსი), რომ ისინი ქმნიდნენ ტიპებს, ან ისეთ სახეებს, სადაც იგრძნობა მთელი კლასი, საზოგადოებრივი ფენა, თავიანთი იდეალებით, გრძნობებით და შეხედულებებით. ტოლსტოის ანდრეი ბოლკონსკი, ჩერნიშევიცის რახმეტოვი, ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარაძე, ტურგენევიცის რუდინი, ეგნატენიოვიჩილის მკირიშვილი, — ყველა ეს ტიპები ამა თუ იმ კლასის სინთეტური გამოხატულებაა. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ „ჩაპაევს“. ფურმანოვმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი ძველი თარგებით არ მისულა ახალ ადამიანთან. ტიპი, თუ ის მართლაც ღირსია ამ უმაღლესი სახელწოდების, ვიწრო ლიტერატურული პერსონაჟი კი არაა, არამედ ეპოქის გაშლილი დროშა, რომელიც მოგვიწოდებს, გვაღელვებს, გვეძახის, ახდენს მასების მობილიზაციას. ასეთია ფურმანოვის ნაწარმოების გმირი. ათ წელზე მეტი გავიდა „ჩაპაევის“ გამოქვეყნებიდან. კაცობრიობის განვითარების თვალთახედვით ეს

ათი წელი ათ საუკუნეზე მეტია. ჩვენ დიდი ხანია ამოვედით სანგრებიდან და ხარაჩოებზე ვათენებთ ლამიებს. მაგრამ — „ჩაპაევი“ მაინც არ „ძველდება“, ის უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს ადამიანის შეგნებაზე. და ეს იმიტომ, რომ ფურმანოვმა მოახდინა სამოქალაქო ომის გმირების „მამაცთა სიგაჟის“ ტიპიზაცია, შექმნა შემკრები ტიპი.

ჩაპაევი ნაწარმოების მთავარი ფიგურაა. მის სახელს ატარებს მთელი ეპოპეია. და როდესაც ამ წინასწარი შთაბეჭდილებით კითხულობთ წიგნს, უცრად გაუგებრობაში ვარდებით. გმირი „ცენტრში“ არაა მოქცეული. ჩაპაევი მხოლოდ მეხუთე თავში გამოდის ძუნწი რებოკებით და ისევ ქრება. რა მთავარი გმირია ეს? კითხულობთ გაკვირვებული. აქ ყველაფერი საბოლოო ანგარიშით ემორჩილება ცალკე პირს კი არა, არამედ მასების რევოლუციურ ალტერინების იდეალიზაციას. „რატომ მაინცა და მაინც ჩაპაევი იქმნებოდა ლეგენდები?“ — კითხულობს კლიჩკოვი თავის დღიურში და იქვე უპასუხებს: ჩაპაევს ხშირად უფრო ნაკლები ჰქონდა გმირის თვისებები, ვიდრე მის პარტიზანებს, მაგრამ ის „ყველაზე სრული და მთლიანი იყო“. ფურმანოვი თავის გმირს არავითარ ლეგენდარი წამოსასხამში არ კახმავს და მოგვითხრობს არა მარტო მის თავგანწირვზე, არამედ ამავე დროს იმ სუსტ მხარეებზეც, რომელიც არ შეიძლება არ ჰქონოდა მას, როგორც პარტიზანთა ატამანს.



(ხალხური)

შენიმ ცხენი მქნა მოყმეო,  
შენს ცოლს დავყვანდე წყალზედა,  
სადავეს აღარ გავყვებოდ,  
დავავანებდ გზაზედა;  
ხანდინ შევთამაშდებოდ,  
ტოტს შევადებდე მხარზედა.

# ქართული პრიტიკის ისტორია და ხელოვნების ფილოსოფია

„ლიტერატურულ გაზეთს“ განზარახული აქვს თავისებური სისტემატური კურსის სახით გაზეთის ფურცლებზე გააშუქოს ორი პრობლემა: ქართული კრიტიკის ისტორია, რომელიც დღემდე გამოუცვლელია და ხელთნების ფილოსოფია, ორივე დარგიდან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდება ცალკე გამოკვლევები, რომლებიც გაერთიანებული იქნება ერთი თემატური და იდეური გეზით. ამ შრომებს შემდეგში ცალკე წიგნად გამოსცემს ჩვენი გაზეთის გამომცემლობა.

ამ იდეის რეალიზაციის მიზნით, „ლიტერატურის“ რედაქცია დეკემბრის 20-ში საღამოს სრულ 7 საათზე იწვევს თათბირს, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:


- შ. ამირანაშვილი, ა. არსენიშვილი, შ. ალბა-ზიშვილი, ვ. ასათიანი, ლ. ასათიანი, კ. ბაქრაძე, ვ. ბერიძე, დ. ბენაშვილი, ვ. ბოჭუჩაძე, ბ. ბუაჩიძე, თ. ბუგაშვილი, მ. გოგიბერიძე, რ. კალაძე, ს. დანელია, ს. დედოფანი, დ. დემეტრაძე, ა. დუდუჩაძე, მ. დუდუჩაძე, ლ. ესაკია, მ. ზანდუკელი, კ. კაპანელი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. ლუარსაბიძე, გ. მდივანი, შ. ნუცუბიძე, ა. ნატროშვილი, შ. რადაიანი, ა. სულავა, მ. ტრო-როშვილიძე, შ. შარია, შ. შავგულიძე, პ. შელენ-გია, ს. ჩიქოვანი, გ. ჩუბინაშვილი, პ. ჩხიკვაძე, გ. ქიქოძე, ა. ჯაფარიშვილი, ს. ჯანაშია, დ. ჯან-ელიძე, გ. ჯიბლაძე, ბ. ჟღერტი, ვ. ხუროძე.

# ბავშვთა შემოქმედების თეორია

მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის მიერ სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების მონაწილეობით ამა წლის დეკემბრისათვის გამოცხადებული იყო საბავშვო მხატვრული შემოქმედების ოლიმპიადის (პირობები გამოქვეყნდა ჩვენი „ლიტერატურის“ ფურცლებზე).

სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა შორის მთავარია ადგილებზე კომკავშირის ორგანიზაციების და განათლების ორგანოების სუსტი ინტერესი ამ მეტად საინტერესო საქმისადმი, ოლიმპიადის ვადა გადატანილია გაზაფხულისათვის. ოლიმპიადისათვის სამზადისი მანძი გრძელდება. ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ადგილებზე კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციების პასიურობა ამ საკითხში. კომკავშირი ასეთ საქმეებს ყოველთვის წინ უნდა უძღვებოდეს! დღეიდან საქიროა გარდატეხის მოხდენა! განათლების განყოფილებები მეტის პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრან ამ ფრიად საინტერესო საქმეს.

„ლიტერატურის“ ამ ნომრიდან დაწყებული სისტემატურად მისცემს ცნობებს, ოლიმპიადის სამზადისის ირგვლივ წარმოებული მუშაობის შესახებ. ველით ამ საკითხზე ცნობებს როგორც ტფილისიდან, ისე სხვა რაიონებიდან. ჩვენზე მისამართით (ტფილისი, მაჩაბელის ქუჩა № 13, „ლიტერატურის“ რედაქციას, წარწერით: ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადისათვის) უნდა გამოგვავსონ სასკოლო, პიონერორგანიზაციების ერთეულების, სარაიონო, ან სხვა წარმოება-დაწესებულებაში ადგილობრივ მოწყობილ



მონარდის პორტრეტი მხატვარ შ. ძნელაძისა

კონკურსზე საუკეთესოდ ცნობილი მასალები.

ყოველ მასალას თან უნდა ახლდეს ოფიციალური, ბეჭედდასმული ცნობა ამა თუ იმ ორგანიზაციისა: გამოგვავსონილი ნაწარმოების ავტორი თუ რა ხნისაა, სად სწავლობს, ვისი შვილია, არის თუ არა პიონერ-ორგანიზაციაში, დამკერძელი მოსწავლეა თუ არა და ა. შ. ასევე ოფიციალური ცნობები უნდა ახლდეს ცალკე ბავშვების მიერ გამოგვავსონილი მასალებსაც. ოლიმპიადით დაინტერესებული სკოლები, კოლექტივები, ორგანიზაციები, პიონერები ვალდებული არიან თქალყური ადევნონ ოლიმპიადისთვის წარმოებულ სამზადისს და გამოგვავსონ თავიანთი აზრი ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებზე.

„ლიტერატურის“ დღევანდელ №-ში ვაქვეყნებთ ოლიმპიადისათვის მიღებულ ერთერთ მასალას.

## მამის კერასთან

სოუელში გადა საღამო მკრთალი, სადღაც კრიალით ალებენ კარებს, და როგორც ბაბუს ძველი ნამგალი, მთაში შეჭრილა მბჟუტავი მთვარი.

ხელში წიგნებით მიყვები ბილიკს, ცას წყლის წვეთით ვარსკვლავი წყდება; სკოლიდან მელის ბუხარი თბილი და სახვლიოდ უჯრედის კრება.

სახლში შევდევარ თითქო სტუმარი, ხალისით საცე დედილო მიმხერს. კერაზე ქვა დევს ვით სასთუმალი და მუგუზლები წვანან მის ქიმზე.

— სამასი შრომა დღე ამ ხელებით მე ჩამოვასხი ერთი წლის გაზეთ — ამბობს მამა და გახარებული ახალ ბუხართან ჩაჰყურებს გაზეთს.

ბუხარიც ჩუმად აბოლებს შეშას, კვამლები ფიქრად ერთმანეთს გაჰყვენ. ოდის კედელზე, თვალი რომ შემრჩა, ღიმილით მოსჩანს ლენინის სახე.

ნავახშივეს საწოლს გვიზადებს დედა, ცას კვლავ ჰკიდია ნახევარ დისკო. ოღაში თბილად მოიღრუბლება მოქანცულობა რომ დაივიწყო.

მე-სიხარული ძილშიც მაიღვრებს, მზეც ჩემთან არის გულში ნამალი. განთიადამდე ჰქუხს სადღაც დღე, ნავაზი ჰყეფს და ყივის მამალი.

ლალო უბილავა  
წალენჯიხის რაიონი

ჩაბავეს მხატვარი ერთბაშად არ გვაძლევს უკანასკნელ ფოლაქებამდე. სინთეტიურ სახეს ის ავსებს თანდათანობით. პავლე ელანი, პეტია ისაევი, ბატურინი, ანდრეევი, „ფუფასი“, ბრმა წითელარმიელი, ნაჭრებათ. დაჩეხილი პარტიზანები — ყველა ესენი ავტორისათვის საჭირო არიან იმიტომ, რომ თითოეული მათგანი ახალ ფერს უმატებს და ავსებს ლეგენდარული არწივის, ვასილ ჩაბავეის სურათს. მეორე მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ყველაზე უმთავრესია ფურმანოვისთვის, ცოცხლობს არა ჩაბავეში, არა კლიჩკოვში, არა ცალკე არმიელში, არამედ ყველაში ერთად და ისინი ქმნიან ერთ მონუმენტალურ სინთეტიურ სახეს, დიადს და განუსაზღვრელს, რაც არ მოკვდება საუკუნეების განმავლობაში. ეს „რაღაც“ არის რევოლუციური პათოსი მთელი ეპოქის მამაცთა სიგიჟის ამ პათოსის იდეალიზაცია, თუმცა მის სახელს, ამ ქეშმარიტად ცენტრალური გმირის სახელს, ავტორი არსად არ ინსენებს.

ჩაბავეის ტრაგიკულ დაღუპვას ძველი ბელეტრისტული შტამპის სამყაროში, ჩვეულებრივად უნდა მოყოლოდა ეპოპეის ლოგიკური დასასრული. აქ უნდა დასმულიყო წერტილი. მაგრამ არა, ფურმანოვმა იცის, რომ ცენტრალური გმირი არ დაღუპულა, იგი ჩაუქრობელ ვარსკვლავით ბრწყინავს თითოეული მებრძოლის გულში და იქედან მას ვერავითარი ძალა ვერ გამოდენის. ამაშია „ჩაბავეი“ — ღრმა ოპტიმისტური ხასიათი. მიუხედავად ტრაგიკული დასასრულისა (ფინალი) იგი განმარტებული ქარიშხალივით მოქმედებს ადამიანზე. ურალის მღვრე ტალღებში დაიღუპა ჩაბავეი, ის, ვის სახელსაც ეპოპეია ატარებს. მაგრამ არ დაღუპულა მასეშის პათოსი, არ დაღუპულა რევოლუცია, ბრძოლა გრძელდება, ჩვენ ყველა საგუ-

შავობზე უნდა ვიყოთ. და ფურმანოვი გვიჩვენებს, როგორ მოდიან ახალი პოლკები, ჩერდებიან ამხანაგების საფლავზე, მღვრიან სამგლოვიარო ჰიმნს — და სდებენ ფიცს, რომ შეწირავენ თავს საერთო საქმეს, კოლექტიურ მიზანს. ძველ ტრაგედიაში არ იცოდა ასეთი ხერხი: აქ კი სცენიდან ჩამოსულ გმირს ემატება ახალი ხაზები, ახალი ფერები, მისი ძალა, ეს შურისძიებით ანთებული პოლკები და გინდა დაიძახო: ჩაბავეი მოჰკლეს — ჩაბავეი ცოცხალია! ჩაბავეი არ არის — გაუმარჯოს ჩაბავეს! ეს არის მხატვრული იდეალიზაციის გამარჯვების საუკეთესო საბუთი.

„ჩაბავეის“ მეორე დამახასიათებელი თვისებაა უარესი პრობლემატური. მთელი ნაწარმოები აგებულია რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ურთიერთობის ფონზე. ჩაბავეის სტიქიურად აჯანყებული გლეხი პარტიზანი და ივანოვო-ვახნესენსკის პროლეტარები! ამ პრინციპის გადაწყვეტას ემსახურება ეპოპეია. თვით ჩაბავეს ფურმანოვი არ მოსავს არავითარი ღვთაებრივი შარავანდედით. „არწივია, მაგრამ... არ იცის გზები, მისთვის ის მთლად ცხადი არ არის.“ — ასე ფიქრობს დივიზიის სამხედრო კომისარი კლიჩკოვი. ეს ფურმანოვის თვალსაზრისითაა ამავე დროს.

ჩაბავეის ზიზლი „ბურჟუისა“ და „იქს-პლოატატორებისადმი“ ორგანიზულია და უძლიერესი. ამ გრძნობას ვერაფერი ვერ შეუცვლის მიმართულებას. მაგრამ კლიჩკოვმა კარგად იცის, რომ ეს სიძლიერე ჯერ კიდევ „გლეხურია“, სტიქიურია. ამ საერთო ნაკლს თან ერთვის „წყვეთი შტაბების“ გინება, ცენტრის დირექტივებისადმი ურწმუნობა — ყველა ეს „პარტიზანშინის“ ტიპური ნიშნებია. მაგრამ კლიჩკოვს ხელთ აქვს მოძრაობის პოლიტიკური სადავეები და თქვენ ამ ძალდაუტანებელ სურათებში ხედავთ, რომ ყოველ ფეხის

ნაბჯზე მიყავდა პარტიას გლეხობის სტიქიური ამბოხება შეგნებულ რევოლუციურ ბრძოლებისაკენ, აძლევდა მას ორგანიზაციულ ძალას, პერსპექტივას.

პირველ სტრიქონიდანვე უკვე იცი ვის მხარეზეა ავტორის სიმპატია, — ამბობდენ ზოგაერთები და ამას ნაკლად სოვლიდენ. ფურმანოვი ტენდენციურია — უმატებენ სხვები დიას, ფურმანოვი ტენდენციურია! მას არ აქვს ობიექტივიზმის ნიშანწყალი. მაგრამ ვინ თქვა, რომ მხატვარი მშვიდობიანობის მოკიქვლია? ვინ თქვა, რომ იგი არაა ვალდებული მსჯავრი გამოიტანოს? ფურმანოვი ცხოვრებას ხედავს „თავისი თვლებით“. მით უკეთესი! არ უნდა დავგავიწყდეს ერთი „პატარა“ მომენტი: „ჩაბავეი“ იწერებოდა სამხედრო კომისარის კალმით, ე. ი. იმ კალმით, რომელიც თავის დროზე თეთრგვარდიელი ბანდიტების დახვერვის შესახებ განკარგულებებს წერდა და ადგენდა ბრძოლის ველის სტრატეგიულ რუკას. ამის დავიწყება შეუძლებელია!


ობიექტულების აზრით, ფურმანოვის გმირებს არა აქვთ „შინაგანი სამყარო“. ეს მჯნარა სიცრუეა! მას მართალია არ ჩაუყვს მკითხველი ქვეცნობიერების ნესტიან სარდაფში, მაგრამ იგი შეუდარბელი ოსტატია გვიჩვენოს მასის ფსიქოლოგია, მისი ტკივილი და სულიერი დედის მიზეზები. „ლოკიროვკა“, მოვლენების გალაქა მისთვის პირდაპირ ორგანიზულად აუტანელია. გაიხსენეთ ფედორ კლიჩკოვის პირველი ბრძოლის მომენტი, სლიმიხინსკის სირცხვილი, როცა მან ინსტიტუტურად მებარგულეებს მიაშურა. გაიხსენეთ ჩაბავეი სამუშაო ოთახში, „წყვეთი შტაბების“ გინების

შემდეგ ჩაფიქრებული რომ მღეროდა საყარულ სიტყვებს: „Ты моряк, красивый — сам-собой“... მღეროდა და თან ფიქრობდა ძმურ საფლავებზე! ეს ადამიანის სულის მთელი პოემაა და მერე როგორი ადამიანის... ინტიმური განცდები გულის სიღრმეში წვდება მკითხველს და მთლად იპყრობს მას. აქ არ არის პათეტიური ფრაზა, არის პათეტიური საქმე.

ლესინგი თავისი „ლაოკოონის“ შესავლში სოფოკლეს ტრაგედიის ღირსებას ხედავს იმაში, რომ ტრაგედიის გმირი ფილოკლეტი იტანჯება. მაგრამ ისე, რომ მხად ხარ თვითონ შენც განიცადო ეს ტანჯვა. ჩვენ სიტყვა სიტყვით ასეთი ემოციების გამოწვევა ლიტერატურა გვინდა ახლა. ამიტომაა საჭირო დაუფიქრდეთ „ჩაბავეის“ წარმატებას. არ შეიძლება შურისძიების ბოღმა არ გებჯინებოდეს ყელში, როცა ხედავ ურალის მღვრე ტალღებში დაჭრილ წითელ ატამანს და პირტიტველა პეტია ისაევის, რომელმაც ექვსი ტყვია დააყარა თეთრების მწკრივს და მეშვიდე გულში დაირტყა. როცა ამას კითხულობ, თითქოს მონაწილეობ ბრძოლაში, გინდა მიაწვდინო ხმა მათ ყიყინას, გინდა განიცადო ეს მძიმე წუთები, თუნდაც ამისთვის საკუთარი სიცოცხლე იყოს საჭირო. „ჩაბავეი“ დროშაა, რომელიც მოგვიწოდებს, „ჩაბავეი“ ახალი თაობის აღზრდის იარაღია და თუ ამას დიდაქტიკა ეწოდება, — ჯანდაბას, მაგრამ აუცილებლად უნდა დაუმატოთ: დიდაქტიკა სამოქალაქო ომის ბიულეტენების... და ეს უკვდავი მონუმენტი გაიზარდა სამხედრო კომისარის უბის წიგნაკიდან.

ლიტერატურა





არ გვეგონა თავიდანვე, რომ „მოთას სახელობის კულტურული ღამე-ქობა“, რომელიც ეს ორი თვე დაიწყო გაზეთმა „კოლექტივიზაციაში“, ასე გაიმზობდა. ხუთი ტომის რჩეული და ჯერ გამოუქვეყნებელი მასალა უკვე მზად არის. რედაქციას ყოველდღე მოდის 15-20 ხალხური ლექსი, არაკი, ზღაპარი, ნაკვეთი. პირველი ტომი უკვე მზად არის სტამბაში გადასაცემად. ის საუკეთესო ქალაქებში იქნება დაბეჭდილი და შესაფერად დასურათებული. მოთას 750 წლის იუბილეისათვის სოფელი ამ კრებულების სახით ხალხური შემოქმედების უძვირფასეს საუნჯეს აკრავებს.

რეგულაციამდელი გაზეთებიც ცდილან ხალხური ზეპირსიტყვიანობის ნიმუშების შეგროვებას. მაგრამ მათი მოქმედების არც ხომ მეტად განსაზღვრული იყო. 3 ათასიანი ტირაჟი მაშინდელი გაზეთისათვის უდიდეს მიღწევად ითვლებოდა. ამიტომაც ხალხური შემოქმედების შეგროვება არ ხერხდებოდა. ამ საქმეს არც თვითონ რედაქციები აქცევდნენ ყურადღებას, ხალხურ ზეპირსიტყვიანობას სალონური, არისტოკრატიული მწერლობა და ბურჟუაზიული პრესა ეგზოტიკად მიიჩნევდა, მედიდურად ზვიდნან დასჩერებოდა.

დღეს უკვე აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ როგორია მშრომელი ხალხის საზოგადოებრივ - პოლიტიკური მდგომარეობა. ამის შესაფერისად მშრომელი მასა თავის ადგილს იჭერს კულტურულ მშენებლობაშიც. ხალხური შემოქმედება — ეს ხომ საუკუნეების დაგროვილი, კოლექტიურად გამოკვეთილი, გააზრებული უღვეი ზღვაა. ხალხური შემოქმედება — ხომ ძველი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობით კლასობრივი ბრძოლის, მასების ყოფის უნათლესი სარკეა.

დღეს ბევრ ჩვენს რაიონში რამდენიმე გაზეთია. მარტო სიღნაღის რაიონში

ხუთი გაზეთი გამოდის. 3-5 ათასიანი ტირაჟი რაიონული გაზეთისათვისაც ჩვეულებრივი მოვლენაა. აღარაფერს ვამბობთ რესპუბლიკურ გაზეთებზე, რომელთა ტირაჟი ათეული ათასებით გაიზომება. დღეს ზღვა მკითხველთა აუდიტორია ჰყავს საბჭოთა გაზეთებს. ვის, თუ არა ჩვენს გაზეთებს შეეძლო ხალხური შემოქმედების უხვი მოსავლის შეგროვება, მისი დახვეწა, შენახვა და ახალ კულტურულ მშენებლობაში შეტანა? დღეს ჩვენი მშრომელი მასების კულტურული დონე შეუდარებლად მაღალია.

აი, რატომ მოხდა, რომ „კოლექტივიზაციის“ ინიციატივამ ასეთი მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში. „მოთას სახელობის კულტურული ღამე-ქობა“, რომელიც მიზნად ისახავს ხალხური შემოქმედების შეგროვებას, უკვე გადაიქცა პარტიულ ორგანიზაციებისა და ადგილობრივ რაიონულ გაზეთების საყვარელ საქმედ. ამ ორთვეში მოთას სახელობის ლაშქრობა დაიწყო თელავის, ფოთის, სენაკის, ზესტაფონის, ბაღდათის, ზუგდიდისა და სხვა მრავალმა გაზეთმა. მოთას სახელობის კულტურული ღამე-ქობა რაიონებში დაიწყო პარტიის კომიტეტების სპეციალური დადგენილებებით.

გროვდება დიდძალი და მდიდარი მასალა, რომელიც თავს იყრის „კოლექტივიზაციის“ რედაქციაში. დღეს უკვე აშკარაა, რომ მარტო რედაქცია ვეღარ მოერევა ამ საქმეს. საჭიროა რუსთველის ინსტიტუტისა და ჩვენი ნწერლების ორგანიზებული დახმარება. საჭიროა „ლიტერატურული გაზეთის“ აქტიურად ჩარევა ამ საქმეში. ამ დახმარების იმედით ჩვენ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას. ლოზუნგი ასეთია: გავშალოთ შეუპოვარი ბრძოლა ხალხური შემოქმედების უდანაკარგოდ და მთლიანად შეგროვებისათვის.

**მწყემსი ვარ, ამბავს ვიამბობთ ჩემსა და ჩემის ცხვრისასა, ძნელია მშობი მწყემსობა, მუხლს ადნობს კარგის ყმისასა! სახლი არა გვაქვ, არც კარი, შავს ნისლებს ვიხვევთ ცისასა. ჩვენი სახლია ნაზადი, გვიფეღვენ კრავებისასა \*). დღე და ღამე ტანზე გვახვევა, წვიმას გვაშორებს ცისასა, ზამთარში ქვევით მივდივართ — ნაპირსა ალაწინისასა, მოვეფინებით ფარებით მინდორსა შირაქისასა, ვერ დავფვლით ჯოგასა, ფარებსა. თუშისას, ფშავლებისასა. ზაფხულში შემოუდგებით გძელს გზასა შირაქისასა. ზოგნი თრიალეთს მივდივართ, გავივლით ქალაქისასა. მივალთ და ბინებს დავაწყოთ სამზღვარსა თათრებისასა, დღე და ღამე შიშით მოველით თავზე დაცემას მტრისასა... ერთხელ იძახეს: „გვიშველეთ, ფარებსა სხლეტენ ცხვრისასა! გვიშველეთ, ფშავლის შვალეობა, მუხლს ვინ შაიბამთ მგლისასა! გულს ვინ ჩაიდებთ მაგარსა, გაუტეხელსა ქვისასა!?“ პაპა თათარიშვილი შავარდენსა შავ მთისასა, შავარდა შუა ჯარშია, ვადას მოსწია ხმლისასა. არ დაცალეს თათრებმა ხმარებას ფრანგულისასა, დაღრიჯებ თოფი \*\*), დაგვიკრეს**

**\*): ბატონის მატყლი.**

**\*\*): ჩახმანს რომ ფეხზე შემოაყენებენ.**

გულსა მთის არწივისასა, გვეწვინდებთ მოლაპარაკებით, თავის ერთგულს მშინსა! გაიქცა წაწლაშვილი, გვერდს მეფარა კლდისასა! ადე და წადი, ყორანო, სავალსა ერთის თვისასა, ფშავს მიიტანე ამბავი, იარე არაგვისასა. მიხვალ, უამბობ ფშავლებსა სი ვდილსა კარგის ყმისასა: პაპი გვეყვ სახელისანი, სამარხს ეცადნენ მკვდრისასა. ტირილით მოგვაქვს, ცრემლის ხმა ჩქერასა შავის წულისასა. მოვალთ და ცოლა: ც ვხარებთ სიკვდილსა თავის ქმრისასა. გვაჭრენებთ სამადა თითონ ნაჭანსა თმისასა! კარგის ვაჟაკის სიკვდილი გულსა ც დადნობს ყმისასა. დღეს სძინავ ბნელსა საფლავსა, კუმბს ასვენავ ხისასა, გულზე მტრის ნატყვიავარი იქ აღნობინებს მიწასა, დავტირით მოკეთებები ნაპირსა სამარისასა. ჩემი არ იყო, მაგრამ ამბავს ვიამბობ სხვისასა. ნაცნობს მამა ეშველებოდა, დაჩაგრულს მძლავრის მტრისასა. მაშ მძებო, ღმერთმა აცხონოს წიაღსა აბრამისასა, მას დააყენოს ნათელი, ძალს შავავედრებ დვთისასა!

ნათქვამი გოგოთურ ჯაფარიძისა; ჩაწერილი 1911 წ. თედო რაზიკა-შვილის მიერ (საქ. მუხ-ის ფოლკლორის განყ-ბის მასალებიდან).

### ქართული პოეტური ფოლკლორის საკითხები

#### პანტაფილი

ქართული პოეტური ფოლკლორი ერთი მხრივ წარმოადგენს მეტად მდიდარ და მხატვრულ მოვლენას, რომელიც თავისი პოეტური ლირებით, ხშირად გენიალობის მწვერვალზე აღწევს; მეორე მხრივ კი იგი ისეთ რეალიზმს შეიცავს, რომელიც მეცნიერების თვალსაზრისით, უდიდესი ყურადღებისა და ღრმა კვლევის ობიექტს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოეტური ფოლკლორის სპეციფიკურობას შეადგენს შინაარსის არქაიულობა და ფორმის იშვიათი პლასტიურობა, სახეთა მხატვრული ნაქედობა, გამომსახველ საშუალებათა თამამი და ნიშანდობლივი შერჩევა. ერთერთ ჩვეულებრივ ხალხური ლექსის შესახებ, რომელიც ია კარგარეთელმა დაბეჭდა 1913 წ.: „შენს, ლოყას ვარდი ჰფენია, გშვენოდა ღია ფერიოა“ — დიდმა აკაკიმ დაწერა: ამ ლექსის ქვეშ, არამც თუ ჩემისთანა უბრალო მგლბნელი, არამედ ისეთი გენიოსიც კი, როგორიც რუსთველი იყო, სიამოვნებით ხელს მოაწერდაო. ამ თქმაში არავითარი გადაჭარბება არა ყოფილა. ჩვენი ხალხის პოეტური რეპერტუარი ბევრ ისეთ ძეგლს ითვლის, რომელთაც დიდი გენიის ცეცხლი ავლიათ.

ხალხური პოეზია, საზოგადოდ, ყოველთვის იყო და არის დიდი შემოქმედების სამკვიდრო და გზნების აუზი. მსოფლიო პოეზიის მუხები ხალხური პოეზიის ნაფუძარშია ამოსული. ეს კარგად უნდა გვახ-

სოვდეს. და რამდენი ძეგლი გვაქვს ჩვენი ხალხური პოეზიის სალონში, რომელიც საერთაშორისო ფოლკლორულ მეცნიერებისათვის ჯერ უცნობია, და რომელსაც თამამად შეუძლია გაუთანასწოროდეს საკაცობრიო გენიის უდიდეს ძეგლებს? ავიღებთ ზღაპრს, სასიმღერო ეპოსს, ლირიკას, თქმულებას თუ რას, ყველა დარგში და საკმაო რაოდენობით მოკვრებთ ისეთ ძეგლებს, რომელნიც გაამდიდრებდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების ქვეყანას საზოგადოდ. რომელ მხატვრულ ნაწარმოებს არ გაუსწორდება ჩვენი ზღაპარი: „მიწა თავისას მოითხოვს“ (იხ. თ. რაზიკ. ქართლას ზღაპრ. № 50). მხატვრულად ეს ზღაპარი დიდი ძეგლია, ხოლო მეცნიერულად მასში ჩამკვდარი ხმა ბაბილონური ეპოსის „გილგამეშის“ ნაწილია. ან „ეთერიანი“, „ტრისჩან და იზოს“ ტიპი, სა ან „ლეწამ-დარეჯნიანი“, რომლის ცალკე ეპიზოდები „ვეფხისტყაოსნის“ პასაჟებს უთანაბრდებიან; ან ლექსი „ვეფხვისა და მოყმისა“, რომლის იდეური სიღრმე და ნაგებობის მხატვრულობა ოსტატის ქმნილებად აქცევს. და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართული პოეტური ფოლკლორის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად იმისი ძველთა-ძველობა უნდა ჩაითვალოს. აქ ჩვენ ვგულმხმობთ ქართული პოეტების ნათესაობას ჰომეროსულ, ბაბილონურ, ეგვიპტურ და საერთოდ ძველი აღმოსავლეთის პოეტებთან და კულტურასთან. ზოგ შემთხვევებში, ქართულ პოეტურ ფოლკლორში შენახული ძეგლები ისე

უახლოვდება და თითქმის ეიგივება ზემოხსენებულ კულტურის ძეგლებს, რომ პირდაპირ ვაოცება გიპყრობთ. ეს დოკუმენტები დღესაც ცოცხლობენ ჩვენში და არა მხოლოდ ტექსტის სახით, არამედ წესებით, ცერემონიალით, ნიღაბებით და საერთოდ მოქმედებით.

ქართული ეპოსი სავსე არის ფეოდალიზმის წინამორბედ საყოველთაო ურთიერთობის გამოხატველ მოტივებით. ბევრი არის ე. წ. საკაცობრიო ხასიათის ფაბულებიც, მთელ ქვეყნად რომ დახეტიალობენ. პრედიონისური და დიონისეს კულტები დღემდე ცოცხალი არიან ჩვენში „ბერიკობის“ „შვიდმასობის“, „ყენობის“ „ლამარიობის“ „გერისობის“ და სხ... სახით; ლირიკულ და ეპიურ სიმღერათა ფრაგმენტების მთელი წყებაც გვაქვს, აღნიშნულ კულტა სათავეებიდან რომ მომდინარეობს როგ. მაგ. „ბერიკობა“ „თავ ფარავნელი ქაბუკი“ („ჭერო და ლენდროსის“ ვარიაცია). საწესო სიმღერათა მთელ წყებას, რომელიც ჩვენში დღემდე ცოცხალია, გადაყვევართ ძველი აღმოსავლეთის კულტურის სფეროში და დოკუმენტალურად გვარწმუნებს, რომ უშუალო კავშირი არსებობს ჩვენსა და იმ დავიწყებული ქვეყნების კულტურათა შორის. მაგ. „იავ-ნანა“, რომელმაც დღემდე შეინახა ძველი სუმერული კულტურის ცოცხალი კვალი. ამ ქართული შეთქმული სიმღერის ტექსტი ზედ ემთხვევა ბაბილონის თეოლოგიურ მედიცინის ფრაგმენტებს.

ან ავიღოთ თამარის ირგვლივ თავმოყრილ სიმღერათა და თქმულებათა ციკლი. ამ ძეგლთა თამარი, ყოველგვარ ექვს გარეშე, უძველესი ქართული პანთეონის წევრი არის, რომლის ხატობა ხეცურეთში დღემდე არის შენახული „პირი-მისის“ სახელით. ჩვენი თამარის ატრიბუტები: ცისკარი, რომელიც თამარს ტყვედ ჰყავდა, ოქროს და ვერცხ-

ლის წინდის ჩხირები, წერომ რომ ჩამოუყარა, ხმალი რომლითაც ქვეყანა დაიმორჩილა, ზღვა, რომელსაც ცეცხლი წაუკიდა და ქვეშ იგრლო, წაყული (გველი) რომელზედაც იჯდა და უკლიდა ქვეყანას, მზის სხივები, რომელთაგანაც იგი დაორსულდა და სტვ ამ მიოლოგიურ ელემენტების მიხედვით, ჩვენი თამარი იგივე ძველი ხეთური დიადი დედა მზ არის, იგივე იშტარი, ჰერა (ბერძ.) იუნონა (რომ.) მითრა (სპარს.) ბრამა, მაია (ინდ.).

უდიდესი ინტერესის აღძვრულია ქართული ზღაპარიც, რომელსაც დღემდე მეცნიერული კვლევა არ შეეხებია. საერთოდ ზღაპარი, საერთაშორისო მოვლენის სახით განხილული, თითქოს საკმაოდ ერთფეროვან სანახაობას წარმოადგენს, როგორც ფაბულის, ისე მორფოლოგიის მხრივ. მაგრამ ეს ერთგვარობა ზერეღე არის და სქემატიური. საკმარისია ერთი რომელიმე ფაბულის ვარიანტთა შედარებითი განხილვა, რომ თვალსაჩინო გახდეს ის კერძო და ინდივიდუალური, რაც ზოგჯერ ისე მნიშვნელოვანი არის ხოლმე, პირველ შეხედვით „აუხსნელ“ მოვლენათა აზრის დასადგენად.

აქაც, ქართული ზღაპრის სამყაროში, როგორც ნიშანდობლივი და კერძო, უნდა აღინიშნოს ძველი აღმოსავლეთის დანალექი, რომელიც თანამედროვე ქართულ რეპერტუარს სადღაც ღრმად უვლის, ქვეშეთ წყალთა მსგავსად. და გვეგონია, რომ ეს დანალექი, ჩვენივე საკუთარი კულტურისა არის, ტიგროსისა და ეფრატის კალთებზე რომ ჰყავდა ძველად, და რომელიც „ძველი აღმოსავლეთის“ კულტურის ორგანიულ ნაწილს შეადგენდა. საფულისხმოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ილიადა“ — „ოდისეს“ ძირითადი პასაჟები ქართული ზღაპრის რეპერტუ-



ხალხის ათასწლოვანი სიბრძნე, დაკვირვება და მჭერმეტყველობა ანდაზებში არის გამონასკული ულამაზეს კემ-მარტივად.

თავმოწონე მოუბარისთვის ან კალმოსანისთვის ყველაზე მოსწრებული ქამანდი ანდაზა არის.

უცნაური დამაჯერებელი ძალა აკვებს ყოველ ანდაზაში: იგი მოწინააღმდეგეს განაიარაღებს, ურწმუნოს დააჯერებს, უვიცს ცნებაში ჩაადგებს.

ანდაზით ერთ შეტევას შეიძლება ლაჩარი გამბედავად გადააქციოს, ძუნწი—პურად, უხნეო—კეთილის მქნელად, არაქნია—ნამდვილ გამრჯელად.

თუმცა ანდაზები ძველის ძველი სათავეებიდან მომდინარეობენ, მაგრამ ისინი ყოველთვის მახვილ იარაღად ელავენ ცხოვრების ფართო გაშლილ ასპარეზზე.

ავილოთ თუნდა დღევანდელი ცხოვრების დღემდე სრულიად უცნობი სახეების განა აქ დაკვესებული ანდაზები ნამდვილ ცეცხლად არ მოედება ახალ ადამიანს და ახალ გარემოს? ჩვენი ცხოვრება მეტისმეტად ბობოქარია, ფერადოვანი.

სოციალისტურ მშენებლობის ადამიანს მრავალ ფრონტზე უხდება შრომა და მოღვაწეობა: დღეს ტრაქტორზეა კაცი, ხვალ—ქარხანაში, ზეგ—დაწესებულებაში, მაზგე ჩაიზე ან ქარხალზე, შემდეგ—დამზადებაზე. მაგრამ არ გეგონათ—ეს ზედმეტი რამ იყოს! ამაზე უთქვამთ სწორედ: კაცმა რამდენი რამეც იცის, იმდენი კაციც არისო.

ავილოთ თუნდა სოცვეჯობებში სახელწოდებად შემოღული ორი მოწინააღმდეგე: ორივე მედგარი, ორივე ძალღონე გამეტებული. ორივე თითქოს გაუტყნავია თავის მისწრაფებაში—გამარჯვებისთვის.

აქ რომელი რომელს სჯობია—არ იცი და, აჰა, უკანასკნელ წაქეზებად გაი-

სმის—ის რკინა სჯობია იმ რკინასა, რა რკინაც გასტეხს რკინასა!

ავილოთ თუნდა ორი თავმოწონე მუშა ან კოლექტივი. ორივე გასაოცარი სისწორით არის შეტოლებული შრომაში, გარჯობაში, შედეგების მოპოებაში. ერთერთს კი უნდა შექველად აჯობოს თავის ტოლს, მაგრამ როგორ?


ტოლმა ტოლს როგორ აჯობა და—ადრე ადგომითაო, ან რომელ წითელარმიელს არ აუდუღებს სისხლზე სისხლს და არ გადაეშვება თავგამეტებულ იერიშზე, რა შესახებ—ვაჟაკი სადაც შეერცხვება—მისი სამარე იქ არისო!

ანდაზები უკანასკნელ დრომდე ხალხურ ზვირსიტყვაობის სამკაულს შეადგენდა. მაგრამ ახლა იგი უკვე მწერლობაშია იჭრება, როგორც ყოველად საჭირო ულამაზესი სახე მეტყველებისა.

ანდაზები თითქმის აუცილებელ სახელმძღვანელოდ გადქცა ორატორებისათვის, მწერლებისათვის, მთარგმნელებისათვის და კულტურულ ფრონტზე მოწაღმართე მრავალ მუშაისთვის.

შიუხედავად ასეთი მოთხოვნებისა, ანდაზების კრებულს ვერსად ვერ შეხვდებით. ამ რამდენიმე წლის წინედ დაიბეჭდა ჩემ მიერ შედგენილი კრებული. სამოთხ თვეში სულერთიან გაიყიდა. შემდეგ აღარაფერი ამის მსგავსი არ დაბეჭდილა. მოთხოვნილება კი მეტის მეტად დიდია.

ორი წელიწადია ხელახლად დავამზადე ეს კრებული მეორე გამოცემისთვის. ბევრი ზედმეტი მასალა მოვაშორე, ბევრი ახალი ჩავუმატე. ამასთან ანგარიში გაუწეე ანდაზების პრაქტიკულ დანიშნულებას და ისინი დავაწეე თემატიკურად. მასალის ასეთი დალაგება მეტის მეტად აადვილებს ანდაზებით სარგებლობას ყოველ საჭიროების დროს.



„ხალხური საუნჯე“ ილუსტრაციები ქოქია შვილისა

თელავის სახელმწიფო

თეატრი

თელავის სახელმწიფო თეატრი 1934—35 წლის სეზონის განხილვისათვის მოსამზადებელ მუშაობას დაგვიანებით შეუდგა, მაგრამ თეატრის კოლექტივის დარახმულობით და ახალ ხელმძღვანელობის ხალისიანი მუშაობით, მოკლე ხნის განმავლობაში შესაძლო შეიქნა სეზონის გახსნა.

წელს თელავის სახ. თეატრის მსახიობთა კოლექტივი შეიქმნა საკმაოდ ცნობილი მსახიობებით; დასში მუშაობენ ადგილობრივი ძალეებიც. თეატრის საორიენტაციო რეპერტუარში შედის: მთვარე და სურათი, „სურათი ციხე“, კორნეიჩუკის — „ესკადრის დაღუპვა“, რაიმონდის — „შენ იქვანობ“, „კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერი“, ალაძის „ჯანეტ“ და კლასიკოსებიდან მოლიერის — „ტარტიფი“. ამჟამად თეატრი მუშაობს ორ ბიესაზე: „შენ იქვანობ“ და „ესკადრის დაღუპვა“ თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგედ მოწვეულია გერონტი ხელაია. თეატრის კომპოზიტორად მუშაობს მარია მამაკაძე არიანი, მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელად მოწვეულია დიკონოვა, თეატრის დირექტორი— არტ. დავითიანი.

„ლიტერატურული ინციკლოპედიის“ მერვე ტომი

გამოვიდა რუსული ლიტერატურული ინციკლოპედიის მერვე ტომი, რომელიც შეიცავს ასო ნ-ის ნაწილს, მ-სა და პ-სა. ამ ტომში მოთავსებულია რამდენიმე ფრიად საინტერესო და აქტუალური წერილი, სახელდობრ: ნოველა, თარგმანი, სახე (ინერა), პეიზაჟი, პამფლეტი, პაროდია, სიმღერა, ნარკვევი, წერილები: — „ადისია“, „ნიბელუნგები“, „სპარსეთის ლიტერატურა“. მწერალთა მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: ნიკო, ნოვალისი, ნოვიკოვ-პრიბოი, ოსტროვსკი, პანფეროვი, პასტერნაკი, პეტროვსკი, პინიაკი, პირანდელი, პულხანოვი და სხვა. ქართულ მწერლებიდან ამ ტომში მოხვდნენ: ნიკო ნიკოლაძე, ეგნატე ნინოშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ჭრიჭინაძე, ბეგლანი და საბასულხან ორბელიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მწერლებს საკმაო ადგილი ეთმობათ, წერილების ავტორები ვერ იძლევიან ამათუი მწერლის სრულ სახეს. მაგალითად, წერილში ნიკო ნიკოლაძეზე—სრულიად გამოტოვებულია ნიკოლაძის პრაქტიკული საქმიანობა—ფოთის საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

ძალიან ცუდადაა შედგენილი ქართველ მწერალთა ბიბლიოგრაფია. უმეტეს შემთხვევაში წერილების ავტორები რატომღაც უმნიშვნელო საჭურნალო წერილების ჩამოთვლით კმაყოფილდებიან. საბასულხანის ბიოგრაფიის ავტორი რატომღაც სიბრძნე-სიცრუის წიგნს „Мудрость и лаж“ უწოდებს. ცხადია, რუსულად უფრო სწორი იქნებოდა „Мудрость лжи“ (წიგნი სიცრუის სიბრძნეზე და პარაკი), მაგრამ თუ წერილის ავტორს ეს საკმაოდ მიანია, „Книга—мудрость лжи“ მაინც უნდა დაწერა, როგორც ზუსტი თარგმანი ქართულიდან.

არში საკმაო სიუხვით არის წარმოდგენილი.

თუ ზოგიერთი მოდემის ხალხური ეპოსი არსებითად არისტოკრატიის სამხედრო ისტორიის წარმოდგენს (პიპერბოლურ ხაზებში, რასაკვირველია) როგორც მაგ. სლაფური, გერმანულ-რომანული მოდემებისა და სხვ. ქართული ხალხური ეპოსი, შეიძლება ითქვას, ამ არისტოკრატიის სულაც არ ეხება. ხოლო იქ, სადაც იგი ნახსენები არის, მხოლოდ კლასთა ბრძოლის საფუძველზე. ი. ჭავჭავაძე რომ ამბობდა, „ქართლის ცხოვრებაში“ ქართლი, ე. ი. ხალხი არა ჩანსო, სამაგიეროდ, ხალხის შემოქმედებაშიც, „ქართლის ცხოვრების“ გმირთა დაუსრულებელი წყება სრულიადაც არ არის ნახსენები, გარდა თამარ-ერეკლესი, რომელთ „ისტორიაც“, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ცოტა სხვა რიგის წარმოშობისა არის. ამის ნაცვლად, აქა გვაქვს ხალხურ გმირთა გრძელი ნუსხა, რომელთ სახსენებელი „ქართლის ცხოვრებაში“ სულ არა ჩანს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხი, თავის ანონიმურ შემოქმედებაში მეტად აქტიურია. იმ დროს, როდესაც მაგ. რუსული ფოლკლორი, მთავარ მოქმედ პირებად გამოიყვანს „მოალერსე თავად ვოლოდიმერს“, „ყრმა ბატონს დუკა სტეპანოვიჩს“ და სხვ., ქართული ფოლკლორი თავის მეფეებს გლეხებად აქცევს. მაგ. თამარი—გლეხის ქალია, ობოლი, უპატრონო და სხვ...

მრავალი საგულისხმო საკითხი არის აღძრული თუ აღსაძვრელი ქართული ხალხური შემოქმედების ქვეყანაში, რაც მოითხოვს ჩვენი თანამედროვეობის გაშახვილებულ ყურადღებას. ხალხურ შემოქმედებას, გარდა მეცნიერული მნიშვნელობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებისთვის, რაც ისე მჭერმეტყველურად იყო აღნიშნული საკავშირო მწერალთა ყრილობაზე.

ჭ ა ი ა ვ ა ტ ა\*) ჰენრი ვოლდსვორტ ლონგფელლო

ჰაიავატას ნიშნობა (ნაწყვეტები)

„ვით მშვილდისარს მშვილდის ლამაზ, ეგრეთ მოდრეკს ცოლი ქმარსა; თუმცა მოდრეკს, მაგრამ მაინც მორჩილია ისევ მისი; თუმც მოზიდავს, მაგრამ მაინც ისევ მისკენ გაქანდება; ცალკე ყოფნა ორივესთვის ურგია და უსარგებლო!“

ახე ჰაბუჟ ჰაიავატას მოუფლიდა ფიქრი ხშირად და სტანჯავდენ სურვილები, იმედები, შიში, ვნება, მინეჰაჰას ოცნებები, მოციხარე წყლის ოცნება, შირ ქვეყნებში რომ დასტოვა დაკოტების უცხო მხარეს. გამოცდილი ნოკომისა აფრთხილებდა ჰაიავატას: „არ წახვიდე უცხო მხარეს უცხო ქალის საძებნელად! როგორც კერა მშობლიური, ძვირფასია მეზობელი; უცხოელის სილამაზე მთვარის ცივი სინათლეა და ვარსკვლავის შორი სხივი!“

ახე ბუობდა ნოკომისა, მაგრამ ჩემი ჰაიავატაც პასუხობდა: „ო, ნოკომისი ტკბილი არის მშობლის კერა მაგრამ უფრო უტკბილესი მთვარის ცივი სინათლეა და ვარსკვლავის შორი სხივი!“

„დაკოტების ქვეყანაში ცხოვრობს ისრის მკეთებელი და ჰქავს იმას ერთი ქალი, რომლის დარი ვერ მონახო ულამაზეს ქალთა შორის. მას მოვიყვან შენს ვიჯვამში, და იქნება ის მორჩილი“

\* ეს პოემა თარგმნილია ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძის და მიქელ პატაროძის მიერ, გამომდის „სახელგამის“ გამომცემით.

და გამგონე შვილი შენი, ის იქნება ვარსკვლავების შორი სხივი, მთვარის შუქი, მაგ ვიჯვამის ცეცხლის კერა, მზე დიადი ჩემი ერის!“

და გასწია ჰაიავატამ დაკოტების ქვეყნისაკენ, ულამაზეს ქალთა მხარეს, ტუეების და მინდვრის გზებით. უდაბური ადგილების დაურღვეველ სიჩუმიში.

ტუის ნაპირას, სადაც ჩრდილი მზის სხივებთან თამაშობდა, ჰაიავატამ მოჰკრა თვალი: ირმის ჯოგი სძლიდა ბალახს. წასურჩულა მშვილდს: „არ შეცდე!“ ისარს უთხრა: „არ მიმტყუნო!“ და ისარი, როცა მღერით ხარ-ირემის გულში ჩაჯდა, წამოიგდო დავლა მხარზე და ფეხს უფრო აუჩქარა.

იქ, ვიჯვამში, კარის ზღურბლთან იჯდა ისრის მკეთებელი, აკეთებდა ქალკიდონის და იასპის ისრის წვერებს. იქვე გვერდით უჯდა ქალი მოხდენილი მინეჰაჰა, იქვე იჯდა ტურფა ქალი და ლერწმისგან ქსოვდა ჭილღებს; მოხუცს ძველის მოგონებზე და წარსული აფიქრებდა. ქალს კი ფიქრი მომავალის.

იგონებდა ის მოხუცი სიჭაბუქეს, წარსულ დღეებს, როცა ისიც ასეთ ისრებს სანადიროდ მოიხმარდა, შხოცდა ირმებს და ბიწონებს მუსკოდეზე, ვრცელ მინდვრებში, ახვედრებდა ფრთაში ბატებს, სამხრეთისკენ ვადაფრენილს.

იგონებდა ძველ მებრძოლებს მეომართა დიად რაზმებს, მის-ისრებს რომ ყიდულობდნენ აჰ, ვერასდროს ველარ ნახავთ


თქვენ მეომრებს იმათ დარებს! ახლა კაცებს ქალის ენა იარაღად გაუხდით!

ტურფა ქალი იგონებდა ერთხელ ნახულ მონადირეს, მაღალი და უცხო სახით გაზაფხულზე მოსულ ჰაბუჟს; ოჯიბვის მხრიდან მოსულს ისრის წვერთა შესაძენად, მათ ვიჯვამში რომ ჩამოჯდა, იტრიალა დიდხანს კართან და შინისკენ მიმავალმა მისკენ ჩუმად მოიხედა. მამამაც ხომ ბევრჯერ აქო მისი სიბრძნე და გმირობა! ნეტავ კიდევ მოვა იგი მინეჰაჰას ჩანჩქერებთან?... დადაგ ხელით და თვალბეზედ ოცნებები დაეკიდა

„მრავალი წლის შუღლის შემდეგ ხისხლიანი ომის ნაცვლად მშვიდობაა ოჯიბვის და დაკოტის ტომებს შორის!“ ჰაიავატამ ახე თქვა და მერე ნელა დაუმატა: „რომ ეს ზავი დიდხანს შეგვრჩეს, გაიზარდოს მეგობრობა და კავშირიც ვახდეს მტკიცე— გამათნე შენი ქალი, მინეჰაჰა მომეც ცოლად, უნაზესი ქალთა შორის!“

და მოხუცი მართლდ ისევ დაუბრუნდა სამუშაოს, მზიან კარის წინ ჩამოჯდა და ბურტყუნით თქვა თავისთვის: „ასეთია მუდამ ქალი! ეფერები, ზრდი ადერსით და, როდესაც მოეწონები იმის გაზრდას, მოხმარებას, მოვა უცხო მოყმე ვინმე ქრელი ფრთებით მოკაშმული, ხელში ლერწმის სალამური მიმოვიღის უცხო სოფელს, ამოარჩევს კობტა სასძლოს ულამაზეს ქალთა შორის და ის ქალიც მას მისჯვენა, მართლდ მისთვის სტოვებს ყველას!“





# თარგმანის მალაღობის ღირსებისათვის

გინალებსაც ეჯიბრება თავისი მალაღობის მხატვრული ღირსებით (შექსპირის ნაწარმოები, ვის რამიანი და სხვა). ახლაც მოსახერხებელია მკითხველს მალაღობის მხატვრული ღირსებისათვის გინალები მიეწოდოს.

ამ რამდენიმე ხნის წინად, ტფილისის რადიოსტუდიის ერთ-ერთმა დირექტორებმა ფრიად ღირსებამხინავი აღმოჩინა მთავრად და ერთ მხედნიერ ხალხს ხმამაღლა ამცნო კიდევ ქვეყნიერებას ამ ამბის შესახებ: მიქელ პატარაძემ ქართულად თარგმანის ესპანელი პოეტის ზოგად მარია ერედის სონეტები.

ამა წლის 14/XII ნაშუადღევს ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე, ჩვენ უაღრესის სიამოვნებით მოვისმინეთ ერთი ამგვარ ნაწარმოები: ამხანაგებო, ახლა შესრულებული იქნება მუსორგსკის სუიტა „ძველი ბოქლომი“ — თქვა ქართველმა დირექტორმა, იმავე წაშს რუსმა გაიშვირა ეს დაპირება და... ზოი, საკვირველებად რუსულად ამ სუიტას თურმე „Старый замок“, ჰქვია.

მხატვრულ ნაწარმების თარგმანს უმრავლეს შემთხვევაში აკისრებენ არა კვალიფიციურ მთარგმნელებს, „შინაურ“ შემთხვევით ხალხს. ეს იმიტომ, რომ

სამწუხაროდ, ამ ორიგინალურმა მოხატვრებამ სრულიად ვერ შეარყია დღემდე არსებული აზრი (ყოველად დახვეწებული და დამყარებული) შესახებ იმისა, რომ ხსენებული პოეტი — ქალი კი არა, კაცი იყო და ამავე დროს, ავტორის ნიჭი, არამედ მარტოოდენ ფრანგი.

ჩვენ მაშინვე გავახსენებთ იმავე წყაროდან მიღებული ცნობა, რომლის თანახმადაც რუსული „Собака“ ქართულად „ხიტყვებს“ ნიშნავს. ყოველივე ამის გამო კი ჩვენ დავასკვნით (და ალბათ სხვებიც დავგეთანხმებთან), რომ რადიოსტუდიის დირექტორთა გამოკვლევები სრულიადაც არაა მოკლებული ორიგინალობას.

ვაღეროთ ვაფრინდა შვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა სექციის სუსტი მუშაობა, ბიუროს უმოქმედობა.

მაგრამ რადიოსტუდიის დირექტორები ვერ მოდრიკა ამ უყურადღებობამ. მათ სხვა ხაზით დაიწყეს მუშაობა: ქართულ ენას მოექიდნენ. დროგამოშვებით ისინი აქვეყნებენ კიდევ ახალი გამოკვლევების ნახევრებს, იმავე რადიოს საშუალებით.

ერთი რამ გვინტერესებს მხოლოდ: რას ფიქრობს ამის შესახებ რადიო გადაცემის კომიტეტი? ხომ არ აპირებს შემდეგშიავე ამგვარ სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას?

რა მზანს ისახავს მთარგმნელთა სექციამ მთარგმნელთა აღრიცხვაზე აყვანას, მათ გაერთიანებას (სექციის გაერთიანდებიან მწერალთა კავშირის არა წევრებიც), მათი კვალიფიციის ამოღებას, ახალ კადრების მომზადებას

## ლიტერატურული ცხოვრება

„ჯაჭოვმა“ გამოსცა ე. ნინოშვილის „ჯანყი გურიისში“ მ. ტოროშელიძის ვრცელი წინასიტყვაობით. წიგნი თარგმნილია ა. ყანჩელის მიერ.

დღეს გაიმართება დილის საბავშვო წარმოდგენები. თეატრებს დაუმტკიცდით სათანადო რეპერტუარი. საბავშვო წარმოდგენებზე ბილეთები შეღავათიან ფასებში გაიყიდება.



და თარგმანების მხატვრულ ღირებულებისადმი კონტროლის გაწევას. მომავალში სთარგმნი მასალები მთარგმნელთა შორის განაწილებული იქნება მთარგმნელთა სექციის საშუალებით, სთარგმნ მასალათა სიების დამუშავება ჩატარდება სექციის უახლოეს მონაწილეობით.

თეორიულ-კრიტიკული განყოფილების გამგედ „ლიტერატურულ გაზეთში“ ამავე გაზეთის სარედაქციო კოლეგიის დადგენილებით გამოყოფილი იქნა ანს. ბესო უღენტი.

შოთა რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში აწლის დეკემბრის 4, 7, 9 და 10 რიცხვებში ჩატარდა საჯარო დისკუსია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხებზე, რის შესახებ მოხსენება გააკეთა ანს. პავლე ინგოროყვამ.

თარგმანი ადვილ საქმედ მიაჩნათ, ამიტომაცა თარგმანთა უმეტესობა დაბალი ხირისხისაა. ქართულ მწერლობას აქვს მთარგმნელობის უდიდესი ტრადიცია, ძველი თარგმანები ხშირად ორი-

სექციის განზრახული აქვს შეადგინოს ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია და ისტორია. საინტერესო მუშაობის გაშლას აპირებს მთარგმნელთა სექცია. ბიუროს ძველი შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფდა დასახულ გეგმის შესრულებას. არჩეულ იქნა ახალი ბიურო, რომელშიაც შედიან: ლიდა გასვიანი, სერგო დანელია, გერონტი ქიქოძე, ვალერიან გაფრინდა-შვილი, ალ მაშაშვილი და კ. ქიქინაძე.

18 დეკემბერს მოსკოვის მუშა-ახალგაზრდობის და კომკავშირის აქტივი იწყებს ლაშქრობას მუსიკალური კულტურის დაუფლებისათვის. ლაშქრობა გაიხსნება კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ჩატარდება 10 ლექცია. ყველა ლექციები მსმენელებს გააცნობს მუსიკალური ხელოვნების კლასიკოსების ნაწარმოებებს.

მოსხენების გარშემო გაიმართა აზრთა ცხოველი ვაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, კეკელიძემ. შ. ნუსუბიძემ, იუსტ. აბულაძემ, ვუკ. ბერიძემ, ავ. შანიძემ, სიმ. ჯანაშიამ, შ. დუღუბაძემ, კ. გამსახურდიამ და სხვებმა. დისკუსიის მოკლე ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

გავშთა მხატვრული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქ. განსახკომის სპეციალური ბრძანებით აწლის 18-დეკემბრიდან სახელმწ. თეატრში, მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებში ყოველ გამოსასვლელ

„ვეფხის ტყაოსანი“ თურქულ ენაზე. რუსთველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქ. მეცნიერ. აკადემიის კავკასიის ფილიალის ადერბაიჯანის განყოფილებამ გადაწყვიტა გამოცეს „ვეფხის ტყაოსნის“ თურქული (ადერბაიჯანული) თარგმანი. ამ საქმეში დახმარების გაწევის მიზნით შოთა რუსთველის სახ ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოყო თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, დოცენტი სერგო ჯიქია.

### ქართული მწერლობა რუსულად

„ოგონების“ ბიბლიოთეკაში გამოვიდა კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები“ თარგმნილობის ბ რიკის მიერ. როგორც თვით მთარგმნელი წერს წინასიტყვაობაში, მან განზრახ იხმარა ავტორიზებული თარგმნის ხერხი, რათა „ფორტრაფია კი არა, არამედ—მხატვრული ნაზატი“ გამოსულიყო. მართლაც, თარგმანი მრავალ შემთხვევაში თავისუფალია, არ არის ავრთვე დაცული დედნების მეტრი, რომელიც მთარგმნელის აზრით რუსულ ლექსთა წყობას არ შეეფერება—თარგმანი შესრულებულია დაკვირვებით და ავტორთა ინდივიდუალობის შენარჩუნებით. კრებულში მოთავსებულია ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, კ. ნადირაძის, რ. გვეტაძის, გ. ტაბიძის, ს. ეული, ს. ჩიქოვანის, კ. ჭაჭინაძის, ა. გომიშვილის, ი. აბაშიძისა და ვ. შურულის ლექსები. უნდა ითქვას, რომ ეს შერჩევა ვერ არის კარგი, იგი შემთხვევით—ხასიათს ატარებს და რუსულ მკითხველსაც ვერ აძლევს ყველა ტიპურ ავტორებს.

## ლისკუბი კრიტიკის უანრეზა

დეკემბრის 17-სთვის დანიშნული პლატონ ქიქოძის მოხსენება კრიტიკის უანრეზის შესახებ ბალბანელია დეკემბრის 20-ის საღამოს სრული 7 საათისათვის. კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია მწერლები, კრიტიკოსები და მცენიკული მუშაკები, მოხსენების თეზისების მიღება შეიძლება 19-დან მწერალთა კავშირის სამდივნოში აღნიშნულ დისკუბს ატარებს მწერალთა კავშირის სამდივნო მოსკოვის საკამშირო კლენუშისათვის მომზადების უსიტ.



„ხალხური საუნჯის“ ილუსტრაციები ქოქიაშვილისა

თოჯინების თეატრის სპექტაკლის განხილვას აყობს მწერალთა კავშირის ახალგაზრდათა საბავშვო და დრამატურგთა სექციები. განხილვა მოეწეობა მწერალთა სასახლეში 21 დეკემბერს საღამოს 7 საათზე. დასწრება შეუძლიათ მხოლოდ მწერლებსა და თეატრის მუშაკებს.

აჭარისხანის ხალხურ შემოქმედების ოლიმპიადა ეწყობა ქ. ბათუმში აწ დეკემბერში. ოლიმპიადა ტარდება აჭარისხანის საბჭოების მე-11 ყრილობასთან დაკავშირებით.

კრედატორი: პლატონ ქიქოძე  
სარედაქციო კოლეგიის წევრები: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ალიო მაშაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ბესო უღენტი, ალბტონ ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი და პანტელეიმონ ჩხიკვაძე.  
გამომცემელი: „ლიტგაზეთის“ გამომცემლობა  
რედაქციის ტელეფონი 3-47-10

**„ლიტგაზეთის“ ტვილისალ მკითხველთა საყურადღებოდ**  
გაზეთზე კოლექტიურად ხელისმომწერთ (წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში, ინსტიტუტებში, წითელი არმიის ნაწილებში და სხვ.) გაზეთი უშუალოდ გამოცემლობის მიერ ჩაბარდებათ გამოსასვლელი დღის წინა დღეს, სამსახურის გათავებამდე, ესე იგი გაზეთის ბაზარზე გასასყიდლად გამოტანამდე.  
გაზეთი კოლექტიურად ხელისმომწერთ დაუკრძებლათ წარმოება-დაწესებულებათა ადგილკომში ან ჩვენს სპეციალურ რეგისტრულთან.  
კოლექტიურ ხელისმომწერას ჩაატარებენ გამომცემლობის სპეციალური რეგისტრულნი (მათი გამოძახება შეიძლება ტელეფონით 3-47-10). ასეთი ხელისმომწერა უშუალოდ შეუძლიათ ჩაატარონ თვით დაწესებულებებში სპეციალურად გამოყოფილი პირებმა—მათ მიერ შეგროვილი ხელისმომწერთა სია და ფული უნდა ჩაბარდეს „ლიტგაზეთის“ გამომცემლობას: მაჩაბელის ქ. № 13.  
დაკეთის № 1264.